ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6583083

ნომერი: AR1964108

თარიღი : 02.05.2023

გაცემის თარიღი : 26.07.2023

გაცნობის თარიღი : 26.07.2023

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გმირი კურსანტების ქუჩის I შესახვევი N1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ არაბიძე პ/ნ 18001001330
- მაყაშვილის31

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2023 წლის 02 მაისის №AR1964108 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია ქ. თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩის I შესახვევი N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.11.05.011.419) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება და გაცნობებთ, რომ სამსახურში სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2023 წლის 26 ივლისის №61-01232072138 წერილით გადმოგზავნილი იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გლდანის რაიონის გამგეობის 2023 წლის 4 ივლისის N34-01231851457 წერილი, რომლის თანახმად, გამგეობას წლების მანძილზე მიმართავს გმირი კურსანტების ქუჩაზე მცხოვრები მოსახლეობა მათი საცხოვრებელი კორპუსების მახლობლად, კერძოდ, №01.11.05.013.208 და №01.11.05.011.419 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე საზოგადოებრივი სკვერის მოწყობის მოთხოვნით. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, გლდანის რაიონის გამგეობა, მომავალი წლის ბიუჯეტის ფარგლებში, განიხილავს მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და დასასვენებელი სკვერის მოწყობის შესაძლებლობას.
აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია ს/კ: №01.11.05.011.419 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესაძლებლობას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.